საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2017 წლის 8 მაისი № 95

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივის ხელმძღვანელის ბ-ნ გიორგი ჩართოლანის 20.04.2017წ. №1549/03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაწევი საარქივო მომსახურების პირობები, სახეები და შესაბამისი ტარიფები თანდართული სახით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2010 წლის 5 ნოემბრის №153 ბრძანება, გარდა აღნიშნული ბრძანების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტისა.

3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2010 წლის 5 ნოემბრის №153 ბრძანების მე-3 პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ამ პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3) საარქივო მომსახურებაზე შეკვეთის მიღებისა და შესრულების პროცედურა"

4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: სმ-ს არქივის მომსახურება და ფასები (3 ფურცლად).

გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივის მომსახურება და ფასები:

გთხოვთ მომსახურების საფასური ჩარიცხოთ ქვემოთ მოცემულ ანგარიშზე.

რეკვიზიტები:

დასახელება:	სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"	ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
მისამართი:	თბილისი, კოსტავას 68	კოდი:	TRESGE22
საიდ/ კოდი:	204858163	ანგ. №	7 0778 7128

მომსახურება:

1 სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივში დაცული აუდიო, ვიდეო, კინო, ფოტო მასალის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მატარებლებზე (ან მაუწყებლის DVD დისკზე) გადაწერა (იხ. სატარიფო კატეგორიები);

2 განმცხადებლის კუთვნილი კინო, ვიდეო, აუდიო, მასალის მის მიერ წარმოდგენილ მატარებლებზე გადაწერა - 1წთ. - 3 ლარი; ფოტო მასალა 1 ერთეული - 3 ლარი

3 განმცხადებლისთვის მასალის მოძიება, დახარისხება ან/და დემონსტრირება არქივის ადამიანური რესურსის და ტექნიკის გამოყენებით - 60 წთ. - 5 ლარი.

სატარიფო კატეგორიები

	აუდიოვიზუალური ნაწარმოები	რადიო პროგრამები და სხვა აუდიო ნაწარმოები	წუთი/რაოდენობა	ღირებულება	არაკომერც. ჩვენების უფლებით გამოყენების ღირებულება	კოეფიციენტი კომერციული ჩვენების უფლებით გამოყენებისათვის			
						ერთჯერადი ჩვენების უფლებით	1 წლიანი ჩვენების უფლებით	2 -დან 3 - წლამდე ჩვენების უფლებით	განუსაზღვრელი ვადით გამოყენების უფლებით
1	1957 წლამდე	1947 წ-მდე	1 წთ	50	50	5	10	20	30
2	1957-2000 წწ -მდე	1947-2000 წწ-მდე	1 წთ	25	25	5	10	20	30
3	2000 წ -დან - დღემდე	2000 წ-დან - დღემდე	1 წთ	15	15	3	5	10	20
4	2000 წ -დან - დღემდე (ექსკლუზივი)	2000 წ-დან დღემდე (ექსკლუზივი)	1 წთ	25	25	3	5	10	20
5	საინფორმაციოს სიუჟეტი		1 წთ	5	5	3	5	8	12
6	სიუჟეტი (ექსკლუზივი)		1 წთ	15	15	3	5	8	12
7	ფოტო დოკუმენტი		1 ეგზემპ.	10	10	1.5	3	5	10
8	ტელესპექტაკლი, დრამატული, მუსიკალური და სხვა სახის სათეატრო წარმოდგენის ჩანაწერი, რადიოსპექტაკლი, ტელეფილმი, დოკუმენტური ფილმი, კონცერტი, სპორტული ღონისძიება, სხვა სახის საღამოები (ფრაგმენტი)	1947წ-დან - 2000 წ-მდე	1 წთ	25	25	5	10	20	30
		2000 წ-დან - დღემდე	1 წთ	15	15	3	5	10	20
9	ტელესპექტაკლი, დრამატული, მუსიკალური და სხვა სახის სათეატრო წარმოდგენის ჩანაწერი, რადიოსპექტაკლი, ტელეფილმი, დოკუმენტური ფილმი, კონცერტი, სპორტული ღონისძიება, სხვა სახის საღამოები (სრული)	1947წ-დან - 2000 წ-მდე	ერთ.	400	400	2	4	--	--
		2000 წლიდან - დღემდე	ერთ.	250	250	2	4	--	--
10	მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი	1947წ-დან - 2000 წ-მდე	1 სერია	30	30	2	4	--	--
11	მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი	2000 წლიდან - დღემდე	1 სერია	25	20	2	4	--	--

შენიშვნა:

ფასები განსაზღვრულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით №153 -05/11/2010 არქივის მომსახურებისა და სატარიფო კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

საბოლოო ღირებულება დგინდება მოთხოვნილი მასალის ქრონომეტრაჟის ნამრავლით ბრძანებით განსაზღვრულ ღირებულებაზე და კომერციული ჩვენების უფლებით გამოყენებისთვის განკუთვნილ შესაბამის კოეფიციენტზე;

ექსკლუზიურ მასალას წარმოადგენს მასალა, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელშია შექმნილი და სხვა მედიასაშუალებაში არ მოიპოვება

სტუდენტებისთვის და მეცნიერთათვის - საკურსო ან სადიპლომო, სხვა სახის სამეცნიერო/სასწავლო მიზნებით გამოყენებისთვის მოქმედებს საშეღავათო ტარიფი, რომელიც შეადგენს: 1 წუთი - 0,5 ლარი;

სტუდენტებისა და მეცნიერთათვის არაკომერციული, სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ტელესპექტაკლების, დრამატული, მუსიკალური და სხვა სახის სათეატრო წარმოდგენის ჩანაწერების, ტელესპექტაკლების, რადიოსპექტაკლების, ტელეფილმების, დოკუმენტური ფილმების, კონცერტების, მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმების, სპორტული ღონისძიებების, სხვა სახის საღამოების სრული სახით ჩვენება – 60 წუთამდე- 5 ლარი.

სტუდენტებმა და მეცნიერებმა უნდა წარმოადგინონ მომართვა-წერილი სასწავლო-საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო დაწესებულებიდან;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის, ნებისმიერი მომსახურების და მასალის ფასი კომერციული მიზნებიდან გამომდინარე მრავლდება 3-ზე;

ფორმდება ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი მოთხოვნილი მასალის გადაცემის შესახებ

არაკომერციული გამოყენების მიზნით გადაცემულ მასალაზე დატანილი იქნება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ლოგო;

განაცხადის განხილვის ვადა - 10 სამუშაო დღე. განაცხადით მოთხოვილი მასალის მოცულობის/ჩასატარებელი სამუშაოების სირთულის გათვალისწინებით, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გახანგძლივდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით;

საზოგადოებრივ მაუწყებელს მასალის გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მასალაზე მაუწყებელს გააჩნია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი უფლება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივის მომსახურების გაწევა ხორციელდება წერილობითი განაცხადის საფუძველზე, ხოლო იურიდიულ პირებთან და ორგანიზაციებთან დამატებით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სადაც მითითებული უნდა იყოს მასალის მოპოვების მიზანი და დანიშნულება. ხელშეკრულებაში უნდა აისახოს მომსახურეობის კატეგორია, ტარიფი და ვადები.

მომსახურების გაწევა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2016 წლის ბრძანების #94 საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივში ვიდეო ან აუდიო ჩანაწერების სახით დაცული კონცერტების (მათ შორის, კონცერტში გამოყენებული ნაწარმოებე-ბის) ან სხვა ღონისძიებების ავტორებს ან/და შემსრულებლებს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული ჩანაწერები გადაეცემათ პირადი არქივისთვის უსასყიდლოდ (მასალის ჩასაწერად განკუთვნილი მატარებლის წარმოდგენის პირობით), არაკომერციული გამოყენების მიზნით. ამ შემთხვევაში დამკვეთი იხდის მხოლოდ მაუწყებლის არქივის მომსახურების ხარჯებს განსაზღვრული ტარიფის მიხედვით. მასალის დამკვეთებმა უნდა წარმოადგინონ საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტი. მასალის გაცემა წარმოებს გენერალური დირექტორის სახელზე წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული მასალა უსასყიდლოდ გადაეცემა და გაეწევათ მომსახურება ანაზღაურების გარეშე იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც ახორციელებენ საგამომიებო-სამმებრო სამუშაოებს და არქივში დაცული მასალები ესაჭიროებათ ამ ტიპის საქმიანობის წარმართვისთვის, შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.